საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2931-02
03/09/2019

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე რელიგიისა და კულტურის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე** გამოცხადებული კონკურსის შედეგის დამტკიცების შესახებ

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 35-ე მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტების, 32-ე მუხლის და 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 2018 წლის 6 მარტის წარმომადგენლობითი საბჭოს მე-2 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესის და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობების” საფუძველზე, რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2019 წლის 24 ივნისის ,, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე **რელიგიისა და კულტურის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე** კონკურსის გამოცხადების შესახებ“ N1809-02 ბრძანების, რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 24 ივნისის N1809-02 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2019 წლის 20 აგვისტოს N2766-02 ბრძანების და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 18 ივნისის N6 და 2019 წლის 2 სექტემბრის N9 ოქმების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.2019 წლის 3 სექტემბერს დამტკიცდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე რელიგიისა და კულტურის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე** გამოცხადებული კონკურსის შედეგი და **რელიგიისა და კულტურის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე** არჩეული იქნას **ბექა მინდიაშვილი.**

2. კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული პირისათვის და შემდეგი სტრუქტურებისათვის: ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახური, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახური, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი.

3.უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.

გიგა ზედანია

რექტორი